



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის და სადისერტაციო საბჭოს დებულება

## შესავალი

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1.1 წინამდებარე დებულება არეგულირებს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სადოქტორო სკოლის საქმიანობას და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პირობებს, ასევე, სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისა და საქმიანობის წესს.

## თავი 1. სადოქტორო სკოლა

### **მუხლი 2. სადოქტორო სკოლა და მისი მიზნები**

- 2.1 სადოქტორო სკოლა უნივერსიტეტის ფარგლებში ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს. მისი მიზანია სამეცნიერო კვლევის გზით, ახალი ცოდნის შექმნა და მკვლევართა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.
- 2.2 სადოქტორო სკოლა ერთობლივი და ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამების განხორციელების მიზნით, თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და ინსტიტუტებთან. ეს თანამშრომლობა ხორციელდება ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე.

### **მუხლი 3. სადოქტორო სკოლის კოორდინატორი**

3.1 სადოქტორო სკოლის ადმინისტრირებას ახორციელებს სადოქტორო სკოლის კოორდინატორი, რომელსაც ევალება:

- დოქტორანტების ინფორმირება არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ;
- დოქტორანტისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით;
- პროგრამასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
- დოქტორანტის პირადი საქმის წარმოება.

### **მუხლი 4. სადოქტორო სკოლაში სწავლის უფლება და ჩარიცხვის პირობები**

- 4.1 დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს სადოქტორო სკოლაში.
- 4.2 სადოქტორო სკოლაში მიღება რეგულირდება საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ მოთხოვნათა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
- 4.3 სადოქტორო სკოლაში სწავლის უფლება აქვს საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური

ხარისხი. სადოქტორო სკოლაში სტუდენტი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4 სადოქტორო სკოლაში მიღება ხდება დოქტორანტურაში სწავლის მსურველის განცხადების საფუძველზე.

4.5 სადოქტორო სკოლაში სწავლის მსურველი პირი სადისერტაციო საბჭოს ასევე წარუდგენს სამოტივაციო წერილს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას და უნდა მოიცავდეს:

- კვლევის საგანს;
- საკვლევი თემის აღწერას და საკითხის მნიშვნელობის დასაბუთებას;
- სამეცნიერო მეთოდოლოგიის აღწერას.

4.6 დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა ზემოთ ხსენებული დოკუმენტების გარდა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- (CV);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ელექტრონული ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა.

4.7 სადოქტორო სკოლის კანდიდატები, ასევე, გაივლიან გასაუბრებას უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ კომისიასთან.

4.8 წარმოდგენილი საბუთებისა და გასაუბრების საფუძველზე დარგობრივი კომისიის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის სადოქტორო სკოლაში ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ. სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

4.9 სადისერტაციო საბჭო დაინტერესებული პირის სადოქტორო სკოლაში ჩარიცხვის შესახებ განცხადების განხილვისას და გადაწყვეტილების მიღების დროს ითვალისწინებს:

- კანდიდატის პროფესიულ ან/და აკადემიურ მიღწევებს იმ სფეროში, რომელშიც მას სურს კვლევის განხორციელება;
- ახალი ცოდნის შექმნის პოტენციალს;
- გამორჩეულ აკადემიურ მოტივაციას;
- ინტენსიურ და თანმიმდევრული შრომის უნარს;
- დროის ორგანიზებისა და საკუთარი სასწავლო განრიგის განსაზღვრის უნარს;
- ფართო პროფესიულ ცოდნას;
- ანალიტიკური აზროვნების უნარს;
- ზუსტი დაკვირვებისა და კრიტიკული შეფასების უნარს;
- რთული იდეების ნათლად და ლაკონიურად გადმოცემის უნარს.

4.10 ჩარიცხვის შემდეგ სადისერტაციო თემის დაზუსტებისთანავე, დოქტორანტს და სადოქტორო სკოლას შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მათ უფლება-მოვალეობებს.

### **მუხლი 5. სადოქტორო სკოლაში სწავლა**

- 5.1 დოქტორანტი სადოქტორო სკოლაში ჩარიცხვიდან ექვსი თვის მანძილზე გადის იმ აუცილებელ საგნებს, რომლებიც საერთოა ყველა დოქტორანტისათვის და პარალელურად მუშაობს საკვლევი თემის დაზუსტებაზე.
- 5.2 სადოქტორო სკოლაში ჩარიცხვისას დოქტორანტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას (სამომავლო სასწავლო და კვლევითი გრაფიკის მითითებით).
- 5.3 სადოქტორო სკოლაში სწავლის პროცესი მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
- 5.4 სადოქტორო სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა როგორც წესი 3 წელია. სწავლის პერიოდის გაგრძელების საკითხს განიხილავს დარგობრივი კომისია დოქტორანტის და მისი ხელმძღვანელის დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. სწავლის პერიოდის გაგრძელების გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო დარგობრივი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.
- 5.5 სადოქტორო სკოლაში სწავლისას დოქტორანტმა უნდა დააგროვოს არა ნაკლებ 180 კრედიტი. აქედან სასწავლო კომპონენტზე მოდის არანაკლებ 45, ხოლო კვლევით კომპონენტზე არანაკლებ 135 კრედიტი.
- 5.6 სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შინაარსი რეგულირდება დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის საფუძველზე, რომელსაც დარგობრივი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.
- 5.7 დოქტორანტს უფლება აქვს სასწავლო კომპონენტის ფარგლებში (საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები), მისი კვლევიდან გამომდინარე გაიაროს საგანი/საგნები სხვა პარტნიორ უნივერსიტეტში, რომელთანაც თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. კრედიტების აღიარება მოხდება კანონით დადგენილი წესის მიხედვით.
- 5.8 დარგობრივი კომისია წელიწადში ერთხელ ისმენს დოქტორანტის ანგარიშს სასწავლო-კვლევითი პროგრამის შესრულების შესახებ.

### **მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი**

- 6.1 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სრული ან ასოცირებული პროფესორი და/ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
- 6.2 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.
- 6.3 სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტი ირჩევს არაუგვიანეს პირველი სემესტრის დამთავრებისას.
- 6.4 სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან ერთად ადგენს და წარმართავს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას და ათანხმებს სადოქტორო სკოლის კოორდინატორთან;

6.5 საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ამასთან, ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა პარტნიორი დაწესებულების თანამშრომელი, თუ უნივერსიტეტს და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება.

### **მუხლი 7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამის დაფინანსება**

7.1 პროგრამის დაფინანსება შეიძლება ხორციელდებოდეს სამეცნიერო გრანტით, სპეციალური სახელმწიფო პროგრამით, საუნივერსიტეტო დაფინანსებით, თვითდაფინანსებით, და ნებისმიერი სხვა ტიპის დაფინანსებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

7.2 სადისერტაციო საბჭო ცალკეული დოქტორანტისათვის განსაზღვრავს სადოქტორო სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის წესსა და პირობებს.

### **მუხლი 8. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა**

8.1 დოქტორანტს შეიძლება შეუჩერდეს სტატუსი პირადი განცხადების საფუძველზე ან დროებით კვლევის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

8.2 დოქტორანტს შეიძლება შეუწყდეს სტატუსი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების უხეში დარღვევის ან პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში.

8.3 დოქტორანტისთვის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის გადაწყვეტილება ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით სადისერტაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

## **თავი 2. სადისერტაციო საბჭო და ხარისხის მინიჭების წესი**

### **მუხლი 9. სადისერტაციო საბჭოს ფორმირება**

9.1 დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო არის სადისერტაციო საბჭო.

9.2 სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის და ამ დებულების შესაბამისად.

9.3 სადისერტაციო საბჭო წარმოადგენს ინტერდისციპლინარულ ორგანოს, რომლის წევრებსაც ირჩევს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

9.4 სადისერტაციო საბჭო შედგება 15 წევრისაგან. მისი შემადგენლობიდან 8 წევრის არჩევა პირველადად ხდება ორი წლის ვადით, ხოლო დარჩენილი 7 წევრის, სამი წლის ვადით. სადისერტაციო საბჭოს წევრთა საქმიანობის ვადის გასვლის შემდეგ, მისი წევრების არჩევა მოხდება სამი წლის ვადით. ამგვარად საბჭოში ყოველთვის იქნება წარმოდგენილი მისი როგორც ძველი, ისე ახალი წევრები.

9.5 სადისერტაციო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრების გადაწყვეტილების საფუძველზე. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის ცვლილება ხდება იმავე წესით.

9.6 სადისერტაციო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს, სხვა ქვეყნის უნივერსიტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი, ან შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

9.7 სადისერტაციო საბჭოს წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს და მდივანს.

## **მუხლი 10. სადისერტაციო საბჭოსა და დარგობრივი კომისიის ფუნქციები**

- 10.1 სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტის ჩარიცხვის შესახებ.
- 10.2 სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.
- 10.3 სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი ენიჭება საბჭოს თავმჯდომარის ხმას.
- 10.4 სადისერტაციო საბჭოს ყველა გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
- 10.5 სადისერტაციო საბჭო ქმნის შესაბამისი მიმართულების დარგობრივ კომისიას და ნიშნავს მის თავმჯდომარეს.
- 10.6 დარგობრივი კომისიის წევრი შეიძლება იყოს ქართული და ასევე უცხოური უნივერსიტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი და/ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
- 10.7 დარგობრივი კომისია, ამზადებს კანდიდატის სადოქტორო სკოლაში მიღებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ:
  - ატარებს სადოქტორო სკოლაში ჩაბარების მსურველთან გასაუბრებას;
  - აღიარებს დოქტორანტის კრედიტებს მობილობის შემთხვევაში;
  - არჩევს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და ითანხმებს დისერტაციის თემას და დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას;
  - ისმენს და აფასებს დოქტორანტის ანგარიშს;
  - იღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვის კომისიის შექმნის თაობაზე და სადისერტაციო საბჭოსათვის წარდგენის შესახებ;
  - ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას;
- 10.8 დარგობრივი კომისია წევრების ხმათა უმრავლესობის საფუძველზე განსაზღვრავს და სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტს/შემფასებლებს, დისერტაციის დაცვის კომისიის წევრებსა და დაცვის თარიღს.
- 10.9 დარგობრივი კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას.
- 10.10 დარგობრივი კომისიის ყველა გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც აწარმოებს და ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.

## **მუხლი 11. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება**

- 11.1 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს.

- 11.2 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებებს და სხდომის ოქმებს.
- 11.3 თუ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორანტის ხელმძღვანელი, შემფასებელი ან სხვა მიზეზის გამო შეზღუდულია თავისი მოვალეობის შესრულებაში, მის მოვალეობას ასრულებს სადისერტაციო საბჭოს მიერ არჩეული ერთ-ერთ წევრი.
- 11.4 სადისერტაციო საბჭოს მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალოს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

**მუხლი 12. სადისერტაციო საბჭოს მდივნის მოვალეობები**

- 12.1 სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოსა და მისი დარგობრივი კომისიების ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებს, ადგენს და ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს სხდომათა ოქმებს. ხელმძღვანელობს საბჭოს და მისი დარგობრივი კომისიების არქივსა და საქმის წარმოებას.
- 12.2 საბჭოს მდივანი, სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ნაბეჭდი და ელექტრონული სახით გადასცემს დისერტაციის ერთ ეგზემპლარს და მის ანოტაციას უცხოურ ენაზე. თუ დისერტაცია უცხოურ ენაზეა შესრულებული, მაშინ ანოტაცია წარდგენილ უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 12.3 საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომის მიწოდებას შემფასებლებისთვის, მათი დანიშნიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.
- 12.4 საბჭოს მდივანი სადისერტაციო საბჭოსა და მისი დარგობრივი კომისიების წევრებს, სხდომამდე ერთი კვირით ადრე, აცნობს დღის წესრიგს.
- 12.5 სადისერტაციო საბჭოს მდივანი, დოქტორანტს ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე, გადასცემს შემფასებლების დასკვნებს და აცნობს დაცვის თარიღს.

**მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურები და მოთხოვნები**

- 13.1 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს სასწავლო გეგმით (კურიკულუმით) გათვალისწინებული კომპონენტები და დაგროვებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი კრედიტები, რაც დასტურდება დარგობრივი კომისიის დასკვნით.
- 13.2 დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის ნაბეჭდ ოთხ ეგზემპლარს და მის ანოტაციას ინგლისურ ენაზე და მათ ელექტრონულ ვერსიას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.
- 13.3 დოქტორანტი, დარგობრივ კომისიასთან წარადგენს, სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნას მისი ნაშრომის საჯაროდ განხილვის მზაობის შესახებ.
- 13.4 დოქტორანტის ნაშრომი როგორც წესი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხო ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს იხილავს და წყვეტს სადისერტაციო საბჭო.
- 13.5 ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, მას თან უნდა ერთვოდეს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი მოკლე რეზიუმე ქართულ ენაზე (10-15 გვერდი, A4 ფორმატი).
- 13.6 ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა შეიცავდეს ანოტაციას უცხოურ ენაზე, სადაც წარმოდგენილი იქნება სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული მეთოდები და

წყაროები, დასაბუთებული იქნება კვლევის მეცნიერული შედეგების ან გამოყენებული მეთოდების სიახლე და აქტუალობა.

- 13.7 დისერტაციის წარდგენისას მოწმდება დისერტაციის გაფორმების წესი. (დანართი 2)
- 13.8 დოქტორანტის ავტორობით ან თანავტორობით (თანავტორობის შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს პირველ ავტორის თანაბარი უფლებები) დისერტაციის წარდგენამდე გამოქვეყნებული უნდა იქნეს მის საკვლევ თემასთან დაკავშირებული არანაკლებ ერთი სამეცნიერო სტატიისა. ჟურნალი უნდა იყოს აკადემიური გამოცემა და სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებული. სტატიის ნაცვლად, გამონაკლისის სახით, შეიძლება იყოს წარმოდგენილი მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს შესაბამისი დარგის რედაქტორი და რეცენზენტი. რედაქტორ-რეცენზენტთა კომპეტენტურობას წყვეტს სადისერტაციო საბჭო. სტატიის ნაცვლად ასევე შეიძლება იყოს წარმოდგენილი კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის მიღწევა/გამოგონება, რომელმაც შეიძლება მიიღოს სამეცნიერო კვლევის სახე, რომელსაც თან ერთვის დამასტურებელი დოკუმენტი მისი დანერგვის შესახებ.

#### **მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება**

- 14.1 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, დარგობრივი კომისია ირჩევს და სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს ორ შემფასებელ-რეცენზენტს, რომლებიც წარუდგენენ სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.
- 14.2 შემფასებელი-რეცენზენტი არ უნდა იყოს დოქტორანტის რომელიმე ნაშრომის თანავტორი, დოქტორანტზე ან მის ხელმძღვანელზე თანამდებობრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირი.
- 14.3 დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დოქტორანტის დაცვაზე დაშვების ან უარის თქმის, აგრეთვე დოქტორანტისათვის სადისერტაციო ნაშრომის შესწორების მიზნით დაბრუნების შესახებ.
- 14.4 შემფასებელი-რეცენზენტების არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა უფლება დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს არაუადრეს ექვსი თვისა.

#### **მუხლი 15. დისერტაციის დაცვის კომისია**

- 15.1 დისერტაციის დაცვის კომისია იქმნება ყოველი კონკრეტული დისერტაციის საჯარო განხილვისას და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას.
- 15.2 დარგობრივი კომისია, დისერტაციის დაცვამდე 1 თვით ადრე ქმნის არანაკლებ ხუთ წევრისაგან შემდგარ დისერტაციის დაცვის კომისიას, რომელთაგან ორი სადისერტაციო ნაშრომის შემფასებელი-რეცენზენტია. დაცვის კომისიაში ასევე შედის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, სათათბირო ხმის უფლებით. დისერტაციის დაცვის კომისიის დარჩენილი 2 წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულების მოწვეული სათანადო აკადემიური ხარისხისა და გამოცდილების მქონე პირი.
- 15.3 დისერტაციის დაცვის კომისიის წევრობის კანდიდატთა სიას სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია.
- 15.4 დისერტაციის დაცვის კომისიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან შერჩეული სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე, რომელსაც უკავია სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა და არ არის დისერტანტის ხელმძღვანელი ან რეცენზენტი.

15.5 დისერტაციის დაცვის კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3 -ისა.

### **მუხლი 16. დისერტაციის დაცვა**

16.1 დისერტაცია - სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

16.2 დისერტაციის დაცვა არის საჯარო.

16.3 დაცვის მსვლელობა ფიქსირდება ვიდეოჩანაწერით. დაცვისას მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

16.4 დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისგან:

- დოქტორანტის მოხსენება;
- რეცენზიების წარდგენა;
- სამეცნიერო დისკუსია;
- ფარული კენჭისყრა;
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება;

16.5 სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 3 თვის განმავლობაში.

### **მუხლი 17. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება**

17.1 დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები:

- სადისერტაციო ნაშრომის თემის შესაბამისობა სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილ სპეციალობასთან;
- საკვლევო თემის აქტუალობა და სიახლე;
- მეცნიერული კვლევის მეთოდების გამოყენება;
- წყაროებსა და ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნები/კვლევის შედეგები;
- ციტირებული ლიტერატურის გაცნობის, დამუშავების, კრიტიკის ამომწურავობა დისერტანტის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში დისერტაციის კვლევის დასახული ამოცანის გადაწყვეტის სისრულე დათქმული მეთოდის გამოყენებით და წყაროებზე/ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით;
- მეცნიერების მოცემული დარგის/სფეროს განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი;
- დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, გამართული მეტყველება, მეტყველება, დისერტაციის ძირითადი დებულებების წარმოდგენა, დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა, და ა.შ.);

17.2 ნაშრომს ფარული კენჭისყრის საფუძველზე აფასებს სადისერტაციო კომისია, სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ.

17.3 შეფასების ქულა გამოიყვანება საშუალო არითმეტიკულის პრინციპით, ამასთანავე ხდება ერთი მაქსიმალური და ერთი მინიმალური ქულის იგნორირება;

17.4 ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დისერტაციის დაცვის კომისიის თავმჯდომარის ხმას.

17.5 სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სკალა:



- summa cum laude (უმადლესი, ქებით) 91–100 ქულა
- magna cum laude (დიდი ქებით) 81–90 ქულა
- cum laude (ქებით) 71–80 ქულა
- bene (კარგად) 61–70 ქულა
- rite (ჩვეულებრივ) 51–60 ქულა
- insufficienter (არადამაკმაყოფილებელი) 41-50 ქულა
- sub omni canone (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) 0-40 ქულა

17.6 დისერტაციის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას აცნობს საჯაროდ.

17.7 დისერტაციის კომისიის დადებითი შეფასების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ გაცემული შესაბამისი დარგის მეცნიერებათა დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

17.8 არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

17.9 დოქტორანტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ სადისერტაციო საბჭოს წარედგინება შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.

17.10 სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დისერტაცია არ ითვლება დაცულად და დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

## **მუხლი 18. ხარისხის მინიჭება**

18.1 დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის და დაცვის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

18.2 თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლა დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს შემდეგი მიმართულებებით:

- ა. სოციალურ მეცნიერებები:  
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი;
- ბ. ჰუმანიტარულ მეცნიერებები:  
ფილოლოგიის დოქტორი;  
ფილოსოფიის დოქტორი;  
ისტორიის დოქტორი;

18.3 სადისერტაციო საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დისერტანტს უწყდება დოქტორანტის სტატუსი და ეს გადაწყვეტილება საბოლოოა.

დებულება ძალაში შედის მისი დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში.